



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 86/ს  
17/02/2023

86-21-4-202302171404



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში შპს „პლასტიკ ადიოსის“ პლასტმასის  
გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე  
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „პლასტიკ ადიოსის“ დაგეგმილი აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში, შპს „ტონუსის“ საკუთრებაში არსებულ 19 084 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.05.37.001) არსებული 14 შენობა-ნაგებობიდან, №1 შენობაში მოაწყოს პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმო. ტექნოლოგიური ხაზის განთავსების GPS კოორდინატებია: X-739760, Y-4647287. დოკუმენტის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 115 მეტრით, ხოლო, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მერია, მიედინება 11 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით, დაახლოებით 40 მეტრში ფიქსირდება ფიზიკური პირის მფლობელობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიის მიერ დაგეგმილია ყოველდღიურად (კვირაში 5 დღე) 2 ტონამდე პლასტმასის ნარჩენების (კოდები: 02 01 04 - ნარჩენი პლასტმასების (გარდა შესაფუთი მასალისა); 07 02 13 - პლასტმასის ნარჩენი; 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა; 16 01 19 - პლასტმასი და 20 01 39 - პლასტმასი) გადამამუშავება და მისგან დღეში 1200 ლიტრი საწვავის (დიზელი, ნაფტა/ თხევადი ნახშირწყალბადების ნარევი) მიღება. საწარმო იმუშავებს კვირაში 5 დღე, დღე-ღამეში 8 საათი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის - მობილური პიროლიზის დანადგარის მოწყობას და ოპერირებას. საწარმოში ძირითადი ტექნოლოგიური პროცესია პიროლიზი, რომელიც მიმდინარეობს 450°C ტემპერატურამდე, ჰერმეტიულად დახურულ რეაქტორში, რის შედეგადაც პლასტმასის ნედლეული გარდაიქმნება თხევად პროდუქტად. საპროექტო საწარმოო ხაზზე ერთი ტექნოლოგიური ციკლის განხორციელებისას შესაძლებელია 2

ტონამდე პლასტმასის ნარჩენების გადამუშავება. საწარმოს ტექნიკური მონაცემების მიხედვით, დანადგარი უზრუნველყოფს დღეში 3 ციკლის განხორციელებას, რაც დღეში 6 ტონამდე ნედლეულის გადამუშავების საშუალებას იძლევა. სამუშაო დღის განმავლობაში განხორციელდება მხოლოდ ერთი სრული ტექნოლოგიური ციკლი, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 8 საათს. ერთი ტექნოლოგიური ციკლის პირობებში (2 ტონამდე ნარჩენის გადამუშავებით) შესაძლებელი იქნება დღეში 1200 ლიტრი საწვავის წარმოება (დიზელი და ნაფტა), საიდანაც 65% იქნება დიზელის ფრაქცია, ხოლო 35%- ნაფტა. 2 ტონამდე ნარჩენის გადამუშავების შედეგად მიიღება ასევე 50% ნარჩენი პროდუქტი, პიროლიზის გაზისა და ნახშირბადის შემცველი ნარჩენების სახით. მიღებული ნარჩენი პროდუქტიდან, 25% იქნება პიროლიზის გაზი, ხოლო 25% - ნახშირბადის შემცველი ნარჩენი.

საპროექტო შენობაში განთავსდება შემდეგი ძირითადი ობიექტები: პიროლიზის მობილური დანადგარი; წარმოებული პროდუქციის საცავი; საწარმოო დაბინძურებული წყლების დროებით შესანახი საცავი; ნედლეულის/პლასტმასის ნარჩენების განთავსების ადგილი; ნახშირბადის შემცველი ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილი; შრედერი; ინსტრუმენტების საწყობი და რეაგენტების საცავი. საწარმოში მობილური პიროლიზის დანადგარი დამონტაჟდება 40 ფუტიანი ზღვის კონტეინერის საფუძველზე, რომელიც შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან: ჰერმეტიკულად დახურული რეაქტორის ბლოკი, რომელიც განკუთვნილია პლასტიკური პიროლიზის პროცესისთვის 450°C ტემპერატურაზე; ღუმელის ბლოკი; კონდენსაციის ერთეული; პიროლიზის გაზის გამწმენდი და შესანახი განყოფილება; გაგრილების და საწვავის გამწმენდი განყოფილება; გაწმენდილი საწვავის შესანახი განყოფილება (ორი ავზი, თითოეული 500 ლიტრი მოცულობით); სითბოს გადამცვლელის გაგრილების განყოფილება და საკონტროლო კაბინეტი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს პლასტმასის ნარჩენებით მომარაგებას უზრუნველყოფს შესაბამისი კომპანია, ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე შემოტანილი ნარჩენები დასაწყობდება ტექნოლოგიური ხაზისთვის განკუთვნილ დახურულ შენობაში. საწყის ეტაპზე, საჭიროების მიხედვით, საწარმოში შემოსული პლასტმასის ნარჩენების პირველადი დამუშავება მოხდება შრედერში (წარმადობით 400 კგ/სთ) ან/და პირდაპირ ჩაიტვირთება/მოთავსდება რეაქტორში, ხელით ან ჩანგლით (ან ბრეკეტების სახით, წინასწარ დაწნევის შემდეგ ან/და წინასწარი მომზადების გარეშე). ნედლეულის ჩაიტვირთვის შემდეგ განხორციელდება ჩართვის/ გაშვების რეჟიმი, სადაც დაიწყება საწვავის (პიროლიზის გაზი) მიწოდება წვის ბლოკის სანთურებში და ჰერმეტიკულად დახურული რეაქტორის თანდათან გათბობა საწყის ტემპერატურამდე (150-200°C). საწყისი ტემპერატურის მიღწევას დაიწყება წყლის ორთქლის გამოყოფა ნედლეულიდან და თერმომყარი პლასტმასის დაშლა. რეაქტორიდან აირებისა და ორთქლის ნაკადი მიემართება შთანთქმის/გაწმენდის სვეტში, რის შემდეგაც მოხდება მისი გაფრქვევა მილის საშუალებით ატმოსფეროში. ოპერირების რეჟიმის დროს მიმდინარეობს ნედლეულის პიროლიზის პროცესი (რეაქციის შიდა ტემპერატურა - 450°C), ვიდრე მთლიანად არ დაიშლება თხევადი და აირისებრი პიროლიზის პროდუქტებად და მყარი ნახშირბადის შემცველ ნარჩენებად. პიროლიზის პროდუქტების ნაკადი გადადის კონდენსაციის განყოფილებაში, სადაც დიზელის ფრაქციები და ნაფტა ცივდება და გადის ორეტაპიან გაწმენდას საწვავის გაგრილებისა და გაწმენდის განყოფილებაში. გაწმენდილი თხევადი საწვავი მიეწოდება საწვავის შესანახ განყოფილებას. პიროლიზის პროცესი მიმდინარეობს 5-6 საათის განმავლობაში. წარმოქმნილი პიროლიზის გაზი გროვდება შესაბამის ავზში და გამოიყენება როგორც საწვავი, რეაქტორის მუშაობის ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

სკრინინგის ანგარიშის თანახმად პიროლიზის პროცესის დასრულების შემდეგ, დანადგარის შემადგენელი ყველა კომპონენტი ითიშება და დანადგარი მზადდება შემდეგი ციკლისთვის. წარმოებული პროდუქცია დროებით გადადის 500 ლიტრიან რეზერვუარებში (2 ერთეული), საიდანაც შემდგომ საწვავი (რეალიზაციამდე) გადაიტუმბება და შეინახება დიზელისა და ნაფტასთვის განკუთვნილ ავზებში (თითოეულის მოცულობა 2 მ<sup>3</sup>), რომელიც განთავსებული იქნება შენობაში, ტექნოლოგიური ხაზის სიახლოვეს. დოკუმენტის თანახმად, მიღებული ნაფტას ნაწილი გამოიყენება მობილური პიროლიზის აპარატის გაწმენდა-გასუფთავების დროს, ხოლო წარმოქმნილი პიროლიზის გაზი, რამდენჯერმე იწმინდება თხევადი წვეთებისაგან, მყარი ნაწილაკებისაგან და გამოიყენება როგორც აირისებრი საწვავი რეაქტორში, მუშაობის ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით. სასმელი წყლით წყალმომარაგება გათვალისწინებულია ბუტილირებული სახით, ხოლო ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო წყლის აღება განხორციელდება ჭაბურღილიდან (GPS კოორდინატებია: X-739740, Y-4647436). საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება გაგრილების სისტემისთვის და სითბოს გადამცვლელებში. დახარჯული აბსორბენტები საწვავის გაგრილების, საწვავის გამწმენდი განყოფილებიდან და გაზის გამწმენდი განყოფილებიდან, ისევე როგორც წყალში ხსნადი დამაბინძურებლებით დაბინძურებული წყალი კონდენსატორიდან, პერიოდულად, მათი დაგროვების შემდეგ, დრენირდება ცალკეულ განყოფილებაში/ საცავში და დაგროვების შესაბამისად, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, ობიექტზე შემოტანილი ნარჩენების წინასწარი დამუშავება (რეცხვა) გათვალისწინებული არ არის. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება შესაბამის საკანალიზაციო ავზში (საწარმოო უბანზე შესაძლებელია ასევე განთავსდეს ბიოტუალეტები) და დაგროვების შესაბამისად გაიტანება მუნიციპალური სამსახურის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ობიექტზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. საწარმოს ექსპლუატაციის დროს, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევები წარმოიქმნება პიროლიზის დანადგარის ღუმელის ბლოკიდან, თხევადი საწვავის შუალედურ რესივერში მიღებისას, საწვავის რესივერიდან პროდუქციის რეზერვუარში გადატვირთვისას, ნახშირბადის შემცველი ნარჩენის რეაქტორიდან ბიგ-ბეგებში ჩატვირთვისას, ნახშირბადის შემცველი ნარჩენის დასაწყობება-ჩატვირთვისას, პლასტმასის ნარჩენების საჭრელი დანადგარიდან (შრედერი). დოკუმენტის თანახმად, ღუმელის ბლოკში სანთურების მუშაობისა და სანთურებში საწვავის წვის დროს ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა აზოტის დიოქსიდი (NO<sub>2</sub>), გოგირდის დიოქსიდი (SO<sub>2</sub>), ნახშირბადის ოქსიდი (CO), ჭვარტლი, გოგირდწყალბადი (H<sub>2</sub>S), ნახშირწყალბადები, მტვერი (მყარი ნაწილაკები). გამონაბოლქვი აირები შეიკრიბება გაფრქვევის მილთან დაკავშირებულ კოლექტორში და გაიფრქვევა 7,5 მეტრის სიმაღლის მილიდან. დანადგარის ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია როგორც უახლოეს მოსახლესთან (115 მ), ისე 500 მეტრიან რადიუსში არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

როგორც სკრინინგის ანგარიშშია მითითებული საპროექტო დანადგარის ტექნიკური მონაცემების მიხედვით, გაფრქვეულ აირებში დამაბინძურებლების რაოდენობის უზრუნველყოფა მაქსიმალურ დასაშვებ ემისიაზე, მიიღწევა თხევადი საწვავის და

პიროლიზის გაზის მრავალსაფეხურიანი გაწმენდით. საპროექტო მახასიათებლების შესაბამისად, გამონაბოლქვი აირებით გარემოს დაბინძურების პრევენციას უზრუნველყოფს ასევე გაზის სანთურის საწვავის წვის კონტროლის სისტემა, გამწმენდი სისტემა, რომელიც ამცირებს ატმოსფეროში გამოყოფილ დამაბინძურებლების შემცველობას და სხვა. სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია გამწმენდი სისტემის, მისი ეფექტურობისა და შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.

ვინაიდან საქმიანობა ითვალისწინებს ნედლეულის პიროლიზს რეაქციის მაღალი ტემპერატურით (450°C), მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების შედეგად მყარი ნედლეული მთლიანად დაიშლება და გარდაიქმნება თხევად ნახშირწყალბადების შემცველ ნაერთად, ასევე წარმოიქმნება აირადი პროდუქტიც, აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესისა და საცხოვრებელ სახლებთან საწარმოს სიახლოვის გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით რომ საწარმოს გააჩნია სხვა გაფრქვევის წყაროებიც, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება და მათ შორის გამწმენდი სისტემის ეფექტურობა საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მხოლოდ ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, რომლის განთავსება გათვალისწინებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში. როგორც სკრინინგის განცხადებაში მოცემული შეფასების თანახმად, ვინაიდან ტექნოლოგიური ციკლი შესრულდება დღის საათებში, ხოლო ტექნოლოგიური ხაზისთვის განკუთვნილი ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით განთავსებული სხვადასხვა ტიპის ხელოვნური ბარიერი ხმაურშემაკავებელი ეკრანის ფუნქციას ასრულებს, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ/ვერ იქნება ხმაურის გავრცელების მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. თუმცა დოკუმენტში არ არის მოცემული ხმაურის დონეების შესაბამისი გაანგარიშება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დამორების მანძილის (115 მ) გათვალისწინებით, საჭიროებს შესწავლას და დამატებით შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად. ტექნოლოგიური ციკლის დასრულების შემდგომ, რეაქტორიდან ამოღებული ნახშირბადის შემცველი ნარჩენი განთავსდება „ბიგ ბეგებში“, საწარმოს ტერიტორიაზე და მისი რეალიზაცია დაგეგმილია სამშენებლო კომპანიებისათვის, როგორც მეორადი ნედლეული. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა იქნება თვეში 10 ტონამდე. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ნარჩენების კონტეინერში, რომლის მართვასაც ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური. ხოლო, სახიფათო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის საწარმოში ნარჩენების გადამუშავების შემდგომ მიღებული ე.წ ნარჩენი პროდუქტის (კოდი, დასახელება და რაოდენობა) შესახებ ინფორმაცია. ასევე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის საწარმოში გადამუშავების მიზნით მისაღები ნარჩენების და პროდუქციის ტრანსპორტირების საკითხები.

დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში სხვა საწარმოო ობიექტები არ ფუნქციონირებს, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით, დაახლოებით 40 მეტრში ფიქსირდება ფიზიკური პირის მფლობელობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შპს „ტონუსის“ საკუთრებაში არსებული 14 შენობიდან №1 შენობაში, თუმცა აღნიშნული 13 შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში არ არის მოცემული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას და დამატებით შესწავლას საჭიროებს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მიწის სამუშაოების განხორციელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას და მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ვინაიდან, სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც დაგეგმილია პიროლიზის დანადგარის მოწყობა, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობის (დღეში 2 ტონა ნარჩენის გადამამუშავება), მახასიათებლების, ტექნოლოგიური ციკლის, უახლოეს მოსახლესთან (115 მ) დაშორებული მანძილის, ასევე, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციით მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში შპს „პლასტიკ ადიოსის“ პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია **დაეჭვმდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „პლასტიკ ადიოსი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პლასტიკ ადიოსის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პლასტიკ ადიოსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო